MES 6 21 0000530811

07/06/2021

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.05.2021
სხდომის დაწყების დრო: 15:02 სთ
სხდომის დასრულების დრო: 18:39 სთ
საბჭოს თავმჯდომარე: ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი
საბჭოს მდივანი: მარიამ შენგელია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 33-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის (შემდგომში საბჭო) სხდომაზე დამსწრე წევრები:

1. ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი - სსიპ ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის მენეჯმენტის სკოლის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ნინო იმნაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის დეკანი, ამავე ფაკულტეტის შენობა-ნაგებობის არქიტექტურის მიმართულების სრული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. მარიამ შენგელია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
4. ანზორ ბერიძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორი;
5. გაიოზ ფარცხალაძე - სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
6. ელიზბარ ელიზბარაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საერთო-საუნივერსიტეტო ლაბორატორიული ცენტრის დირექტორი, პროფესორი;
7. ნიკა თიკანაშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის საერთაშორისო ურთიერთობების ხელმძღვანელი, შპს "საქართველოს საავიაციო

უნივერსიტეტის" საინჟინრო ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
8. გიორგი ღაღანიძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი;
9. დავით კაპანაძე - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრის უფროსი, პროფესორი;
10. დიანა მჭედლიშვილი - შპს "კავკასიის უნივერსიტეტის" ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
11. ეკატერინე ნაცვლიშვილი - შპს "ევროპის უნივერსიტეტის" ასოცირებული პროფესორი;
12. თეონა მატარაძე - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი;
13. მაკა კაჭარავა - სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;

სხდომაზე დამსწრე პირები
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	სტატუსი
1	ლალი ოდიშვილი	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
2	თამთა ანთიძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი
3	ქრისტინე აბულაძე	უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები

N	სახელი, გვარი	საგანმანათლებლოდაწესებულებისდასახელება	სტატუსი	საკითხი
1	მაკა ბერიძე	სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი	უნივერსიტეტის რექტორი	I
2	ნინო მილაშვილი		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი	I
3	რევაზ ჭიღლაძე		საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი	I
4	ზურაბ ხონელიძე		რექტორი	II
5	ირმა დიხამინჯია		ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი	II
6	ლარისა თაკალანძე		პროფესორი	II
7	დავით ჯალაღონია		პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	II

8	გიორგი ბერულავა	სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი	პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი	**II**
9	მარინა ხუბუა		უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასოცირებული პროფესორი	**II**
10	ნინო ქეცბაია		ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, ასისტენტ პროფესორი	**II**
11	დევი შონია		ასოცირებული პროფესორი	**II**
12	ნინო ხარებავა		ასოცირებული პროფესორი	**II**
13	ნინო წივწივაძე		ფინანსებისა და აღრიცხვის სამსახურის უფროსი	**II**
14	რომეო გალდავა		ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი	**II**
15	დავით მახვილაძე	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**III, IV**
16	ნინო ლომიძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**III**
17	აკაკი გუნცაძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მენეჯერი	**III**
18	მალხაზ დოლიძე		სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის აგროინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი	**III**
19	მაია კუპრავიშვილი		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „სასოფლო სამეურნეო ჰიდრომელიორაცია“ ხელმძღვანელი	**III**
20	დავით გუბელაძე		პროფესორი	**III**
21	ნანული დანელია			**III, IV**

			ავტორიზაციისა და აკრედიტაციის განყოფილების უფროსი	
26	ეკატერინე შაკიაშვილი	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი	სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი	**IV**
27	ვანო ჭიაურელი		სტუ-ის საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსი	**IV**
28	თინათინ აფხაიძე		მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის „საზოგადოებასთან ურთიერთობა“ ხელმძღვანელი	**IV**
29	ირაკლი მიქავა		ასოცირებული პროფესორი	**IV**
30	გიორგი ზირაქაშვილი		პროფესორი	**IV**
31	ელდარ პირმისაშვილი		ასოცირებული პროფესორი	**IV**

აკრედიტაციის ექსპერტები

N	**სახელი, გვარი**	**ინფორმაციაელექტრონულისაშუალებითმონაწილეობისშესახებ**	**საკითხი**
1	გიორგი რამიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
2	ლაშა ლალიაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	I
3	ვასილ კიკუტაძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
4	ნინო პატარაია	(ჩაერთო „ზუმით“)	II
5	თამარ თავხელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	II
6	მაია ჭინჭარაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	II
7	ქეთევან კინწურაშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
8	თამარ სანიკიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	III
9	ედვარდ შერმადინი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
10	ანა მოსემღვდლიშვილი	(ჩაერთო „ზუმით“)	III
11	ნატალია თვალჭრელიძე	(ჩაერთო „ზუმით“)	IV

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანმა.
საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს სხდომა დაიწყო: 15:02 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ასტრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასოფლო- სამეურნეო ჰიდრომელიორაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით

- არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ასტრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასოფლო- სამეურნეო ჰიდრომელიორაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

1. პირველი საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ასტრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ასტრონომია

2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	13.09.2012 წ. გადაწყვეტილება N 382
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	-
9	კვალიფიკაციის დასახელება	ასტრონომიის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0533 ფიზიკა
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. 122 უნივერსიტეტის II კორპუსი, საქართველო, 0800
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- არა

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ რეაკრედიტაციაზე წარმოდგენილი იყო სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ასტრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

ექსპერტების პოზიციის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, გიორგი რამიშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან განმარტა, რომ პროგრამა გადიოდა რეაკრედიტაციაზე, ვიზიტმა ჩაიარა მშვიდ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო მხოლოდ ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმებს, კერძოდ - „სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმის განმარტება გაიწეროს ქულების მიხედვით''. რჩევებთან დაკავშირებით, აღნიშნა რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები მიმართული იყო პროგრამის გაუმჯობესებისკენ.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, პირველ რჩევასთან დაკავშირებით - „რამდენიმე სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში ქართულ ენაზე გამოცემულ მოძველებულ და ინგლისურენოვან ახალ მაღალკვალიფიციურ ლიტერატურას, კარგი იქნება დაემატოს ქართულ ენაზე ახალი გამოცემულიც“ განმარტა, რომ პროგრამის განხორციელებისთვის წარმოდგენილი ლიტერატურა საკმარისი იყო შედეგის მისაღწევად, აღნიშნულ რჩევასთან მიმართებით საუბარი იყო ახლახანს გამოცემულ ლიტერატურაზე, იმ 2 წიგნზე, რომელიც გამოცემული იყო 2020 წელს და გაყიდვაში არ იყო ჯერ-ჯერობით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ვიზიტის შემდეგ აღნიშნული ლიტერატურა გაუგზავნა დაწესებულებას.

ექპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ერთ-ერთ ზოგადი ხასიათის ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა რომ, ინგლისურენოვანი საგნის პედაგოგს გამოყენებული ჰქონდა 2018 წელს გამოშვებული წიგნი, ხოლო ასტრონომიის პედაგოგს იმავე წიგნის 2016 წლის გამოშვება. მიუხედავად იმისა, რომ ორივე გამოცემა იდენტური იყო და მასში არაფერი იყო შეცვლილი გასაკვირია, რომ სხვადასხვა წლის გამოცემა ჰქონდათ მითითებული ლიტერატურაში.

მეორე რჩევასთან დაკავშირებით: „თითქმის ყველა სილაბუსს სასურველია დაემატოს კვირაში 1-2 პრაქტიკის საათი და საკონტაქტო საათები გაიზარდოს 3-4 საათამდე კვირაში“, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტუდენტთა სიმცირიდან გამომდინარე შედეგი მიღწევადია და აქედან გამომდინარე ეს არის რჩევა და არა რეკომენდაცია, თუმცა აღნიშნული მიმართულებით სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში აუცილებელი გახდება საკონტაქტო საათების გაზრდა, ექსპერტის განმარტებით დაწესებულებას ძირითადად ჰყავს აკადემიური პერსონალი და შესაბამისად, საკონტაქტო საათების გაზრდა არ გამოიწვევს დამატებითი ხარჯების აუცილებლობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი, მაკა ბერიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს, მან მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს ნაყოფიერი მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რჩევები და რეკომენდაციები მიმართული იყო პროგრამის განვითარებისკენ. ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ექსპერტთა ჯგუფის მხრიდან მიიღო საკმაოდ მნიშვნელოვანი რჩევები, რაც მათ დაეხმარებათ ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის უკეთესად განხორციელებაში და სწორედ აღნიშნული ვიზიტის შემდეგ, უნივერსიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ გააკეთონ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ფიზიკის მიმართულებით.

დაწესებულების რექტორმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გაწერილ რეკომენდაციასთან და რჩევებთან მიმართებით აღნიშნა, რომ დაწესებულება არა მხოლოდ რეკომენდაციას, არამედ რჩევაში ასახულ საკითხებს ეთანხმება, ხოლო საკონტაქტო საათების გაზრდასთან დაკავშირებით, განმარტა, რომ დაწესებულებაში სრულ მასშტაბიანად მუშაობს აკადემიური

თავისუფლება და იმ შემთხვევაში, თუ პროფესორების მხრიდან იქნება სურვილი სილაბუსებში ცვლილების განხორციელების და საკონტაქტო საათების გაზრდის, ინსტიტუცია აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ვერ ნახა შრომის ბაზრის კვლევა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ასტრონომიის მიმართულებით დამსაქმებლები არ წამოადგენენ საფინანსო ორგანიზაციებს, საჯარო სექტორს ან კერძო კომპანიებს. დოკუმენტაციაში მითითებულია რამდენიმე შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდა ობსერვატორიის თანამშრომლები, თუმცა ეს არ არის შრომის ბაზრის კვლევა. მან აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ დაწესებულება აპირებს საბაკალავრო პროგრამის განხორციელებას, უფრო მეტი ყურადღება უნდა გაამახვილონ შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევის დოკუმენტში წარმოდგენილია გამოკითხული მხოლოდ ერთი სკოლის დირექტორი, შესაბამისად აღნიშნული ვერ იქნება რეპრეზენტატიული, აქედან გამომდინარე საბჭოს წევრი თვლის, რომ დაწესებულებას შრომის ბაზრის კვლევა არ განუხორციელებია.
საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა ბიუჯეტთან დაკავშირებით, მან აღნიშნა რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის დოკუმენტში საერთოდ არ არის ციფრები მითითებული. წარმოდგენილია მხოლოდ ინსტრუქცია, გრანტების გაცემის წესი და შინაგანაწესი. დაინტერესდა პროგრამის ბიუჯეტთან დაკავშირებით, სადაც მითითებული იქნებოდა შესაბამისი ციფრები და რომლის მიხედვითაც შეძლებდნენ მსჯელობას პროგრამის ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით.
საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე-ჯიშკარიანი დაეთანხმა საბჭოს წევრის მიერ დასმულ შეკითხვას ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტში არ არის გაწერილი ბიუჯეტი და ეს იყო მხოლოდ ნარატიული ჩამონათვალი, შესაბამისად საბჭოს თავმჯდომარის პირველი კითხვა ეხებოდა ბიუჯეტს.
მეორე კითხვა ეხებოდა შრომის ბაზრის კვლევას, პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია არის ასტრონომის მაგისტრი, ბაზრის კვლევის დოკუმენტში მოცემულია საბანკო სექტორები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში კვლევა და ა.შ. და იგი დაინტერესდა ამ კვალიფიკაციის ადმიანისთვის თუ რამდენად რელევანტურია მიკროსაფინანსო ორგანიზაციების შრომის ბაზრის კვლევა. რეალურად სად საქმდებიან სტუდენტები?
მესამე კითხვა ეხებოდა სავალდებულო საგანს, კერძოდ „საწარმოო პრაქტიკას“, რომელიც არის 10 კრედიტიანი დისციპლინა და საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა აღნიშნული კრუსის ფარგლებში სად გადიან სტუდენტები პრაქტიკულ კომპონენტს?
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულებას საკმაოდ კარგად აქვს გაწერილი სამოქმედო გეგმა, მისი ფორმატი და სტრუქტურა.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. იგი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა სილაბუსების დახვეწა/გაუმჯობესებას და აღნიშნა, რომ მისი მოსაზრებით აღნიშნული რჩევას რეკომენდაციის ხასიათი უფრო აქვს, რადგან იგი გაეცნო სილაბუსებს, როგორც არჩევითი ისე სავალდებულო საგნების, სადაც გაწერილი საკონტაქტო საათები წარმოადგენს 2 საათს. შედეგების მიღწევის კუთხით კი არ იქნება კარგი უნიფიცირებული ფორმა, უნდა არსებობდეს ინდივიდუალური მიდგომა, საგნის სპეციფიკის და სწავლების მეთოდების გათვალისწინება. საბჭოს წევრმა ასევე აღნიშნა, რომ სილაბუსებში იდენტურად არის გაწერილი სწავლის შედეგები, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის და ავტონომიურობის ნაწილში და განმარტა, რომ შეუძლებელია სხვადასხვა საგნის სილაბუსი გადიოდეს ერთი და იგივე შინაარსის ტექსტზე, შესაბამისად საჭიროა რომ განხორციელდეს ინდივიდუალური მიდგომა საგნების შინაარსიდან გამომდინარე.

საბჭო წევრმა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ იგი იზიარებს გაცემულ რეკომენდაციას, „რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმის განმარტება გაიწეროს ქულების მიხედვით'' და განმარტა, რომ ამ მიმართულებით მხოლოდ ქულების გაწერა არ არის საკმარისი, ასევე საჭიროა ქულების ჩაშლა, გასაწერია კვლევის მეთოდების ნაწილი და ასევე, დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომის დაშვების წინაპირობებთან დაკავშირებით, სადაც გაწერილია რომ სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა არის ყველა საგნის გავლა, რაც არის პროგრამით გათვალისწინებული. თუმცა „ასტრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობად მითითებულია მხოლოდ „საწარმოო პრაქტიკა", რაც არ არის სწორი, რადგან წინაპირობებად მნიშვნელოვანია გაიწეროს ყველა სავალდებულო დისციპლინა, კვლევითი კომპონენტი, თეორიული ნაწილი - შესაბამისად, მნივშენლოვანია, რომ აღნიშნული კომპონენტები იყოს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობა.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. იგი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ თუ განხორციელდა სამაგისტრო ნაშრომების ნახვა და როგორ შეაფასებდნენ მას. ასევე საბჭოს წევრი დაინტერესდა თუ რა დროს ატარებენ სტუდენტები ობსერვატორიაში და რამდენად იღებენ პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს ობსერვატორიის ბაზაზე განხორციელებული სამუშაოების შესრულებისას?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, გიორგი რამიშვილმა განმარტა, რომ მათ გამოითხოვეს სამაგისტრო ნაშრომები, მოხდა მათი დათვალიერება. მისი განმარტებით სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას მიიღეს ინფორმაცია, რომ მოკლე დროის პერიოდში პრაქტიკული ნამუშევრის შესრულება რთულია და აქედან გამომდინარე, ნაშრომები უფრო მეტად თეორიულ ხასიათს ატარებს ვიდრე პრაქტიკულს. შეფასების ნაწილთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომების ძალიან მაღალი შეფასება იშვიათია, ნაშრომების შეფასება მკაცრად ხორციელდება და ექსპერტების მიერ გამოთხოვილი იყო სხვა და სხვა ხელმძღვანელის და განსხვავებული შეფასების მქონე ნაშრომები. მიუხედავად იმისა, რომ შეფასების დოკუმენტი არ იყო წარმოდგენილი და სწორედ ამ მიმართულებით გაიცა რეკომენდაცია, ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ სამაგისტრო ნაშრომები აკმაყოფილებს სტანდარტებს.

საბჭოს თავმჯდომარემ, ნათია ზედგინიძემ დასვა დამაზუსტებელი შეკითხვა ბიუჯეტთან დაკავშირებით. იგი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ბიუჯეტის იმ დოკუმენტს, სადაც მითითებული იყო მხოლოდ ნარატიული ჩამონათვალი თუ გაეცნენ სხვა სახის დოკუმენტსაც?

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ ისინი გაეცნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტს და ასევე, მათ ვიზიტის დროს მოისმინეს შესაბამისი ახსნა-განმარტებები დაწესებულების წარმომადგენელთა მხრიდან. მათი განმარტებით დაწესებულება მზადაა გაიღოს ხარჯები პროგრამის განსახორციელებლად, რადგან აღნიშნულ პროგრამა უზრუნველყოფს მაღალი სამეცნიერო რეიტინგის არსებობას. ექსპერტმა, განმარტა რომ ზოგადად, აღნიშნული მიმართულებით არსებული პროგრამები შესაძლოა არ იყოს ფინანსურად მომგებიანი, მაგრამ ეს იყოს წინაპირობა მაღალი სამეცნიერო რეიტინგის.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ მთავარი გზავნილი არ არის პროგრამის კომერციულად მომგებიანობის საკითხი, მაგრამ მნივშენლოვანია რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში, რომელიც ეხება ბიუჯეტის ნაწილს, ნათლად იყოს გაწერილი პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო სავალდებულო ხარჯები და მისი დაფინანსების წყაროები, რაც პროგრამის მდგრადობაზე მიუთითებს.

დაწესებულების რექტორმა, მაკა ბერიძემ სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობებთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ნაშრომის დაცვისთვის სავალდებულოა ყველა საგნის დასრულება და არა მხოლოდ „საწარმოო პრაქტიკის". დაწესებულებას სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წინაპირობებთან დაკავშირებით შემუშავებული აქვს ერთიანი საუნივერსიტეტო დებულება, ხოლო თითოეული ფაკულტეტი უფლებამოსილია მიმართულების სპეციფიკიდან

გამომდინარე დოკუმენტში განახორციელოს შესაბამისი ცვლილებები. აქედან გამომდინარე, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ ტექნიკური ხარვეზი.
საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით, დაწესებულების რექტორმა განმარტა, რომ ეს იყო აკადემიური საბჭოს მიერ, ორი წლის წინ მიღებული დადგენილება, სადად გაწერილი იყო, რომ სამაგისტრო საფეხურზე საკონტაქტო საათები უნიფიცირებულად მიღებული ყოფილიყო 2-3 საათი - საკონტაქტო საათად. აღნიშნული განისაზღვრა მაგისტრანტებთან ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე და იმ პერიოდისთვის მოცემული საკონტაქტო საათების რაოდენობა იყო რელევანტური. გარკვეული პერიოდის შემდეგ აკადემიურმა საბჭომ აღნიშნული გადაწყვეტილება შეცვალა, იმ დროისათვის, როდესაც ისინი მუშაობდნენ სტრატეგიულ გეგმაზე, სადაც საუბარი იყო აკადემიურ თავისუფლებაზე. ამ დროისათვის აკადემიური საბჭოს მიერ 2 წლის წინ მიღებული დადგენილება გაუქმებულია და პროგრამის განხორციელებისას შესაძლებელია შეტანილ იქნას ცვლილება საკონტაქტო საათებთან მიმართებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა „საწარმოო პრაქტიკასთან“ დაკავშირებით განაცხადა, რომ პრაქტიკის კომპონენტში მათ შეუძლიათ ასტროფიზიკის ობსერვატორიის გამოყენება. პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებლები არა მარტო ესწრებიან შრომის ბაზართან დაკავშირებულ საკითხის განხილვას, არამედ პროგრამის განმახორციელებლების 90% თავად არიან დაწესებულების და ობსერვატორიის ერთობლივი თანამშრომლები. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი ასტროფიზიკის ობსერვატორიასთან, რათა ყველა კომპონენტი ცალსახად დოკუმენტურად ყოფილიყო გაწერილი.
დაწესებულების რექტორი დაეთანხმა საბჭოს წევრებს, რომ შრომის ბაზრის კვლევა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია და განმარტა, რომ ინსტიტუციას აქვს სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ისინი შრომის ბაზრის კვლევას ახორციელებენ ორი მიმართულებით. ერთი ეს არის საჭიროება და დასაქმების შესაძლებლობები, ხოლო მეორე კურსდამთავრებულთა დასაქმების რეალური არეალი და არიან თუ არა ისინი დასაქმებულნი. მეორე ნაწილი გულისხმობს სპეციალობის მიხედვით დასაქმებას და არა ზოგადად დასაქმებას, რაც პროცენტულად განსხვავდება. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასტრონომიის მიმართულებით მათ არ ეყოლებათ დიდი რაოდენობით სტუდენტები და არც შრომის ბაზრის მოთხოვნები იქნება მაღალი. სტუდენტების დასაქმების ბაზარი არის თავად ობსერვატორია. დაწესებულება სტუდენტებს გამჭოლ კომპეტენციებში ამზადებს და ისინი შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანები არიან სხვადასხვა მიმართულებითაც.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა ასტრონომიის მიმართულების რამდენი მაგისტრი მუშაობს საბანკო სექტორში და რა პოზიცია უკავიათ.
დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არ აქვთ ზუსტი მონაცემები.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ კომენტარი გააკეთა, რომ შრომის ბაზარი მხოლოდ ერთი ობსერვატორია არ არის და თუ მხოლოდ ერთი ობსერვატორიაა რამდენმა ადამიანმა შეიძლება რომ იმუშაოს აღნიშნულ დაწესებულებაში. ხოლო თუ დაწესებულების წარმომადგენლები განმარტავენ, რომ ყოველწლიურად მხოლოდ 5-5 სტუდენტი უნდა მოამზადონ, მაშინ მით უფრო საჭიროა კარგად იყოს გაწერილი ბიუჯეტი, რადგან პროგრამა თუ წამგებიანია ნაჩვენები უნდა იყოს თუ საიდან ხდება საჭირო სახსრების დაფარვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ასტრონომიის სამაგისტრო პროგრამა ცალსახად პრიორიტეტულია უნივერსიტეტისთვის და მათ არა მხოლოდ ხუთის არამედ სამი სტუდენტის სწავლაც დაუფინანსებიათ. იგი დაეთანხმა საბჭოს წევრს, რომ ბიუჯეტი შესაძლოა კრიტიკის საგანი გახდეს თუ ციფრებით არ არის გამოსახული და განმარტა, რომ აკადემიურ საბჭოს მიღებული აქვს გადაწყვეტილება, რომ ასტრონომიის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა უნივერსიტეტის დაფინანსებით განახორციელოს.
მათ აქვს აკადემიური პერსონალისთვის ხელშემწყობი მექანიზმები, მათ შორის ისინი უფინანსებენ გარკვეულ რეიტინგულ ჟურნალებში სტატიების გამოქვეყნებისთვის საჭირო

თანხას და ბიუჯეტში დაფინანსების საკითხი გათვლილია ყველა აკადემიურ პერსონაზე. გარდა ამისა, გათვალისწინებულია წიგნის ბეჭდვის საკითხი, კონფერენციების და ა.შ.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ სტანდარტის მოთხოვნა არის არა ბიუჯეტის მუხლები, არამედ თანხობრივი განაწილება. თუ საიდან განხორციელდება თითოეული მუხლის დაფინანსება, ცენტრალური ბიუჯეტიდან თუ პროგრამისთვის ცალკე გამოყოფილი ბიუჯეტიდან, ეს არის დაწესებულების გადასაწყვეტი. მოცემულ შემთხვევაში ფაქტი იმის თაობაზე თუ როგორ არის თანხები განაწილებული, რასაც განმარტავს დაწესებულების წარმომადგენელი, სწორედ ამ საკითხების ფაქტობრივი, დამამტკიცებელი დოკუმენტაცია არ არის წარმოდგენილი. წარმოდგენილია მხოლოდ ნარატივია და დაინტერესდა ვიზიტის დროს, ექსპერტთა ჯგუფის მიერ თუ განხორციელდა ბიუჯეტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გამოთხოვა.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა უნივერსიტეტის ბიუჯეტი, თუ რა თანხა ჰქონდა დაწესებულებას გამოყოფილი სამეცნიერო კვლევებისთვის, აკადემიური პერსონალისთვის და ა.შ. შესაბამისად ექსპერტთა ჯგუფს საშუალება ჰქონდა ენახათ დაწესებულების მთლიანი ბიუჯეტიდან თუ რა თანხები იყო გამოყოფილი აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით. დაწესებულების წარმომადგენელი დაეთანხმა საბჭოს წევრებს არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება გააგრძელებს აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობას. ასევე განმარტა, რომ დათვლის რთული მექანიზმია, როდესაც დაწესებულების ერთი აკადემიური პერსონალი ჩართულია რამდენიმე პროგრამის განხორციელებაში, რადგან ასეთ შემთხვევაში ხელოვნურად ხდება თანხების გაზრდა, რაც არასწორია.
საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ დაწესებულებას, როგორც საჯარო სამართლის იურიდიულ პირს გააჩნია ცენტრალიზებული ბიუჯეტი, სადაც გაწერილია სახელფასო ფონდი, სამეცნიერო კვლევების ნაწილი, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფის ნაწილი და ა.შ. შესაბამისად დაწესებულებას ეს ყველაფერი მუხლობრივად აქვს წარმოდგენილი.
დაწესებულების რექტორმა განაცხადა, რომ კონკრეტულად პროგრამის მიმართ მათთვისაც მისაღები იქნება განხორციელდეს ბიუჯეტის ზუსტი დათვლა, რადგან მათ მიერ ყველა პროგრამასთან მიმართებით დათვლილი ბიუჯეტი არის მხოლოდ მიახლოებითი.
საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა აკრედიტირებულია 2012 წლიდან და გასული 9 წლის მანძილზე მათ თუ აქვთ დათვლილი პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო თანხები, შესაბამისად აქვთ 9 წლიანი დინამიკა. ეს ნიშნავს იმას რომ თეორიულად და პრაქტიკულადაც შესაძლებელია გარკვეული პროცენტის სიზუსტით გათვალონ თუ რა ხარჯს გაწევს დაწესებულება პროგრამის განსახორციელებლად 2020-2021 სასწავლო წელს.
მოცემულ საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ შეიმუშავეს გარკვეული სახის მექანიზმი, კერძოდ ისინი თვლიან დანახარჯს რასაც უმატებენ დანახარჯის 5%-მდე პროცენტს, რომელიც მიმართულია პროგრამის განვითარებისთვის,
საბჭოს წევრმა, ნიკა თიკანაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამის განვითარება საკმაოდ მნიშვნელოვანია დაწესებულებისთვის. თვითშეფასების დოკუმენტიდან ნათლად ჩანს რომ არ არის მაგისტრანტების დიდი რაოდენობა. რაც აიხსნება იმით თუ სად საქმდებიან აღნიშნული მიმართულების სტუდენტები, რადგან სასურველია რომ კურსდამთავრებულებმა თავიანთი პროფესიით იმუშაონ. იგი დაინტერესდა თუ სად არიან კურსდამთავრებულები დასაქმებულები? ამ დარგის განვითარებაში რა წვლილი შეაქვს ინსტიტუციას? შეიძლება ერთიან ბიუჯეტში გაწერილია მოცემული პროგრამის ხარჯები, თუმცა შესაძლოა მიმართულებისთვის ცალკე ბიუჯეტის გაწერამ ვერ დააკმაყოფილოს საჭირო ხარჯები და თვალსაჩინოების მიზნით რა ეფექტი ექნებოდა მინუსების გაწერას და სთხოვა აღნიშნული საკითხები რომ დაეზუსტებინა ინსტიტუციის წარმომადგენლებს.
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ისინი სხვა პროგრამების მიმართ განიხილავენ თუ რა ხარჯებს მოითხოვს და რა შემოსავალი ექნება კონკრეტულ პროგრამას. თუმცა, აღნიშნულ პროგრამასთან მიმართებით მათ ეს საკითხები არ განუხილავთ.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ოცდაათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მოხდა მათემატიკა-ასტრონომიის ფაკულტეტის ჩამოყალიბება. მისი განმარტებით, რეგულარულად ატარებენ ოლიმპიადებს და შესაბამისად იციან თუ რომელ სკოლას რა შესაძლებლობა და პოტენციალი აქვს, აღნიშნულის შეფასება ხორციელდება ყოველწლიურად.
დასაქმებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ მათი ძირითადი ამოცანაა კადრები მოამზადონ ობსერვატორიაში დასასაქმებელად. მათი კურსდამთავრებულებიდან სამს დისერტაცია აქვს დაცული, 40-მდე კურსდამთავრებული ჰყავთ სამაგისტრო საფეხურზე. დაწესებულების კურსდამთავრებულთა პირველი დამსაქმებელი, ასტრონომიის მიმართულებით არის აბასთუმნის ობსერვატორია.
პროგრამის ხელმძღვანელმა ბიუჯეტთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში ხარჯები შემდეგნაირად არის გაწერილი: 183 480 ლარი დანახარჯი არის აკადემიურ პერსონალზე, 10 000 ლარი მოცემულია პრემიის სახით, ხოლო 65000 ლარი არის სხვადასხვა დარგებთან მიმართებით.
დაწესებულების წარმომადგენელმა, კურსდამთავრებულთა დასაქმებასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ობსერვატორიაში ვინც ექსპერიმენტალურ სამუშაოს ახორციელებს ან დაწესებულების თანამშრომელია ან მათი დოქტორანტია.
საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა მათ მიერ ჩატარებული ოლიმპიადები, ეს იყო თუ არა მოსწავლეთა საერთაშორისო ოლიმპიადები?
პროგრამის ხელმძღვანელმა, აღნიშნა რომ ეს იყო მათ მიერ ჩატარებული უფასო ოლიმპიადები.
საბჭოს წევრმა, ელიზბარ ელიზბარაშვილმა განმარტა, რომ საქართველო ბოლო 4-5 წლის პერიოდში შეუერთდა საერთაშორისო ოლიმპიადებს, რომლებიც ტარდება ასტრონომიის მიმართულებით და იგი დაინტერესდა, დაწესებულება ხომ არ იყო ჩართული ამ კუთხით, ოლიმპიადებისთვის ბავშვების მომზადებაში.
პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ამ მიმართულებით ოლიმპიადებში არ არიან ჩართულნი, თუმცა დაწესებულება თავისი ინიციატივით ყოველწლიურად ატარებს ოლიმპიადებს. რეგიონში 200-მდე სკოლაა, მათ შორის სომხურ ენოვანი, აქედან გამომდინარე ოლიმპიადისთვის ბილეთებს ადგენენ როგორ ქართულ, ასევე სომხურ ენაზე.

დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ შესაძლოა უკუგება თანხებით არ გაიზომოს, თუმცა ძალიან დიდია დაინტერესება იმის შესახებ, რომ დაწესებულებამ შეინარჩუნოს აფილირებული პროფესორი, რომელსაც ყველა სხვა პროფესორთან შედარებით მეტი სამეცნიერო პროდუქტიულობის ინდექსი აქვს. დაწესებულების წარმომადგენელი მათი და ასტრონომების ურთიერთობას მიიჩნევს გზად, რომელიც აამაღლებს უნივერსიტეტის ცნობადობას საერთაშორისო ასპარეზზე. დაწესებულება მზადაა კვლავ დააფინანსოს საერთაშორისო კონფერენციები, განახორციელოს ინგლისურენოვანი ჟურნალის გამოცემა და ეს არის ის მნიშვნელოვანი გზა, რომლითაც ინსტიტუცია გააცნობს თავს საერთაშორისო პარტნიორებს. აქედან გამომდინარე, დაწესებულებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია მოცემული პროგრამის განხორციელება იმ შემთხვევაშიც კი თუ მათ მხოლოდ სამი სტუდენტი ეყოლებათ. ეს დაწესებულებისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანია, რადგან მათ სჭირდებათ ახალი კადრები, ისინი თავადაც არიან დამსაქმებლები და დიდი სურვილს გამოთქვამენ თავიანთი კურსდამთავრებულების დაწესებულებაში დასაქმებასთან დაკავშირებით.
პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მათმა სტუდენტებმა თარგმნეს სომხურენოვანი წიგნი ქართულ ენაზე. ასევე აღნიშნა, რომ გამოდის საერთაშორისო ასტრონომიული ჟურნალი ინგლისურ ენაზე, რომელშიც ოცამდე სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებმა დაბეჭდეს სტატიები. საკონტაქტო საათებთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ მიუხედავად იმისა რომ სილაბუსებში 2-2 საათი არის გაწერილი, ისინი სტუდენტებს იმდენ დროს უთმობენ რამდენის სტუდენტისთვის არის საჭირო, ეს კი 2 საკონტაქტო საათს აღემატება.
საბჭოს წევრმა, დიანა მჭედლიშვილმა კომენტარი გააკეთა, რომ თავად არის ნამყოფი ლაბორატორიაში და ღრმა პატივისცემა დაადასტურა ინსტიტუციისადმი.

საბჭოს წევრმა, მაკა კაჭარავამ იკითხა რეაკრედიტაციის პროცესში რომელი საერთაშორისო და ადგილობრივი პრაქტიკა იქნა შესწავლილი და თუ განახორციელეს დადარება? რომელ საუკეთესო პრაქტიკას ეყრდნობა ინსტიტუცია?
პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, ინსტიტუცია ეყრდნობა გერმანიის, კერძოდ ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის მაგალითს და მათ მაგალითზე ცდილობენ პროგრამის გაუმჯობესებას. უშუალო კონტაქტები აქვთ აზერბაიჯანთან და სომხეთთან. სამჯერ ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელზეც ჩამოსულები იყვნენ 10-მდე ქვეყნის წარმომადგენლები. მათ აქვთ კონტაქტები, ჰყავთ ტაილანდელი ხელმღვანელი, ერთი ხელმძღვანელი ჰაიდელბერგის უნივერსიტეტიდან, ორი აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან.
საბჭოს წევრ, გიორგი ღაღანიძეს კითხვა გაუჩნდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ წარმოდგენილ დასკვნაში გაწერილ ბიუჯეტის ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც ამოიკითხა დასკვნაში, მაგრამ ვერ ნახა დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში. მან იკითხა 271 000 ლარი არის თუ არა სამაგისტრო პროგრამის სრული ხარჯი?
დაწესებულების რექტორის განმარტებით, ცალსახად იზიარებენ შეხედულებას, რომ ბიუჯეტი გამოსახონ რიცხვებში. აღნიშნულ თანხასთან დაკავშირებით კი აღნიშნა, რომ ეს არის ხარჯი, რომელსაც უნივერსიტეტი ხარჯავს პროგრამის განხორციელებისთვის.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა თუ საიდან გამომდინარეობს პროგრამის მდგრადობა?
დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ინსტიტუციას ბიუჯეტში აქვს გაწერილი აკადემიური პერსონალის ანაზღაურების თანხა, ასევე მათი საქმიანობისთვის საჭირო სახსრები, რომელიც გაწერილია მუხლობრივად. დაწესებულებას ბიუჯეტში გაწერილი აქვს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარებისთვის და მათ შორის 2021 – 2021 სასწავლო წლისთვის საჭირო თანხები და სწორედ აქედან გამომდინარეობს პროგრამის მდგრადობა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 16:02
დასრულების დრო: 16:15

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება. კერძოდ საბჭოს თავმჯდომარემ დამატებით განმარტა, რომ საბჭოს ზეპირ მოსმენაზე დაინტერესებული მხარეების მიერ წარმოდგენილი არგუმენტაციის ანალიზის საფუძველზე მიიჩნია, რომ აკრედიტაციის 1.1 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება; აკრედიტაციის 2.3 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, რის შედეგად მეორე სტანდარტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“; აკრედიტაციის 4.4 კომპონენტი ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, მიზანშეწონილია შეფასდეს, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, თუმცა აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეოთხეზე სტანდარტის შეფასების ცვლილება;

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ასტრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისთვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:
ა) სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმების განმარტებები გაიწეროს ქულების მიხედვით;
ბ) მოხდეს სწავლის შედეგების დადარება თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
გ) სავალდებულო საგნებში კვირაში 2 საკონტაქტო საათი სასურველია შეიცვალოს 3 საათით. რაც უდავოდ შეუწყობს ხელს დასახული მიზნების მიღწევას. განსაკუთრებით თვალშისაცემია მცირე საკონტაქტო საათები 6 კრედიტიანი საგნების დროს. კლასიკური საგნების: სფერული ასტრონომია, ცის მექანიკა, ვარსკვლავთა ასტრონომია, ასტროფიზიკა... სილაბუსებში სასურველია უახლესი არსებული ლიტერატურის დამატება პირველი სემესტრის საგანში „სფერული ასტრონომია“ ძირითადი ლიტერატურის მე-3 ლექციების კურსი უნდა იქნას გადატანილი დამატებით ლიტერატურაში. რეკომენდებულია შეთავაზებული არჩევითი კურსების მეტი რაოდენობა.
დ) შემუშავდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტი და განისაზღვროს პროგრამის მდგრადობის მიმართულებები.

რჩევები:
ა) პროგრამის განვითარებისთვის რამდენიმე სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში ქართულ ენაზე გამოცემულ მოძველებულ და ინგლისურენოვან ახალ მაღალკვალიფიციურ ლიტერატურას, კარგი იქნება დაემატოს ქართულ ენაზე ახალი გამოცემულიც.
ბ) თითქმის ყველა სილაბუსს სასურველია დაემატოს კვირაში 1-2 პრაქტიკის საათი და საკონტაქტო საათები გაიზარდოს 3-4 საათამდე კვირაში.
გ) აკადემიური პერსონალის მხრიდან გაძლიერდეს მუშაობა მაგისტრანტების სმეცნიერო-კვლევით პროექტებში ჩართულობის მაჩვენებლის ასამაღლებლად.
დ) საჭიროა მეტი ჩართულობა სამეცნიერო აქტივობებში და ერთობლივ პროექტებში სხვა უნივერსიტეტებთან (სხვა დაწესებულებებთან ერთად ერთობლივი ხელმძღვანელობით შესრულებული სამაგისტრო ნაშრომები, სამეცნიერო სტატიები, ერთობლივი მოხსენებები...), რომლებიც უზრუნველყოფს მაგისტრატურის კურსდამთავრებულების ინტეგრაციას სხვადასხვა უნივერსიტეტების დოქტორანტურის პროგრამებში.
ე) სასურველია გათვალისწინებული იქნეს, რომ პროგრამაზე სტუდენტების რაოდენობის ზრდის შემთხვევაში გახდეს საჭირო მოწვეული პერსონალის რაოდენობის გაზრდა და სასურველია თადარიგის დაჭერა შესაბამისი ადამიანური რესურსის მოძიებისთვის.
ვ) დაზუსტდეს სამაგისტრო ნაშრომის წინაპირობები, სამაგისტრო ინსტრუქციის შესაბამისად;
ზ) ვებ-გვერდზე განთავსებული იყოს პროფესორ-მასწავლებელთა ინდივიდუალური კონსულტაციების განრიგი;
თ) გაძლიერდეს სტუდენტების ურთიერთობა დამსაქმებლებთან და მათთან შეხვედრებს მიეცეს სისტემატიური ხასიათი.

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 31 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ

ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ასტრონომიის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვს თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

2. მეორე საკითხი: სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	30.11.2018 გადაწყვეტილება №176
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	240
15	განხორციელების ადგილი	ა. პოლიტკოვსკაიას ქ. N61, თბილისი, 0186, საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა - მაკა კაჭარავამ;
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ხელშეკრულება დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოსთავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვასილ კიკუტაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან განაცხადა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა 2021 წლის 10 მარტს, აღნიშნულ პროგრამას ჰქონდა პირობითი აკრედიტაცია და დაწესებულება მაქსიმალურად ეცადა, რომ გაეთვალისწინებინა პროგრამასთან მიმართებით გაცემული რეკომენდაციები, რის შედეგადაც პროგრამამ დიდი პროგრესი განიცადა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული იყო მხოლოდ ოთხი რეკომენდაცია:
1. რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, კერძოდ როგორც ცნობილია პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი უნდა ვითარდებოდეს სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), რაც მოცემული რუკით ბუნდოვანია. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპის დაცვით უნდა დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის ზოგიერთი შედეგის განვითარების დონეები;
2. რეკომენდებულია სასწავლო კურსის ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ნაცვლად ბუღალტრული აღრიცხვისა, ასევე საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი (Minor) პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები) წინაპირობების დაკორექტირება ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად (Mijor) პროგრამაში ამ კურსებზე მითითებული წინაპირობების გათვალისწინებით;
3. რეკომენდებულია სასწავლო კურსში ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები გარდა ორის ბუღალტერიისა შეთავაზებული იქნეს მეორე მოთხოვნადი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაც;
4. რეკომენდებულია დაკონკრეტდეს რა მეთოდებით, რომელ სასწავლო კურსებში მოხდება ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება.
ექპერტის განმარტებით პირველი და მეოთხე რეკომენდაცია ურთიერთგადამფარავია. ყურადღება გაამახვილა სწავლის შედეგებზე, რომელიც სამ დონიანია და ესაა გაცნობა, გაღრმავება და განმტკიცება. რეკომენდაცია გაიცა განმტკიცების ნაწილთან მიმართებით, რადგან რამდენიმე საგნის სილაბუსში დასაკორექტირებელი იყო სწავლის შედეგები.

მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა განმარტა, რომ ეს ეხებოდა წინაპირობებს, რომელიც მათ დაწესებულებასთან ერთად დეტალურად განიხილეს და აღნიშნული რეკომენდაციის შესრულება არ წარმოადგენს სირთულეს.
მესამე რეკომენდაცია ეხებოდა სასწავლო კურსში „ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები“ მეორე პროგრამის დამატებას, რომლის დამატებასთან დაკავშირებით სურვილი თავად სტუდენტებმაც გამოთქვეს.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ პროგრამა არის აქტიური, მას ჰყავს როგორც აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტები ასევე, კურსდამთავრებულები, დასაქმებულები. პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი და შესაბამისობაში აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნებთან.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, რომეო გალდავა მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მისი განმარტებით ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები მნიშვნელოვანია პროგრამის განვითარებისთვის, თუმცა გარკვეულ საკითხებთან დაკავშირებით მათ გააჩნიათ თავიანთი პოზიცია. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მიმდინარე პროცესი ახალი დაწყებული აქვთ, ერთობლივად განხორციელდა რუქაზე მუშაობა, ეს იყო პირველი მიახლოება და დაწესებულება აგრძელებს აღნიშნული მიმართულებით მუშაობას. მათ ყოველწლიურად დაგეგმილი აქვთ შეხვედრები კურიკულუმის ანალიზთან დაკავშირებით, პროცესში მათთვის ცხადი გახდება პროგრამის შესაძლებლობები, ნაკლოვანებები და შესაბამისად მოხდება მათი დაკორექტირება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან კითხვით მიმართა ექპერტთა ჯგუფს პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაცია გაცემული იყო იმ კუთხით, რომ ცოდნა გაცნობიერების განმტკიცება არ იყო მოცემული სწავლის შედეგების რუკაში? და იგივე კითხვა ექნება დაწესებულებასთან, თუ როგორ განხორციელდება აღნიშნულის გამოსწორება?
იგი ასევე დაინტერესდა შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, თუ რამდენი დამსაქმებელი და კურსდამთავრებული იქნა გამოკითხული? ასევე ბიუჯეტთან მიმართებით, მან აღნიშნა რომ არ არის გაწერილი პერსონალის ანაზღაურებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხარჯები.
დისციპლინის „საგადასახადო საქმე“ სილაბუსში წარმოდგენილია მხოლოდ კანონები და კანონქვემდებარე აქტები, ხოლო სავალდებულო ლიტერატურა არ არის მითითებული, რაც წარმოადგენს ხარვეზს და შესაბამისად გასასწორებელია. ასევე, რამდენიმე საგნის სილაბუსი მოცემულია მოძველებული ლიტერატურა.
საბჭოს წევრის განმარტებით ინსტიტუცია არ დაეთანხმა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციას, სადაც მითითებული იყო რომ სასწავლო კურსს „ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლებს“ წინაპირობად განსაზღვროდა ფინანსური აღრიცხვა. მიუხედავად იმისა რომ ეს არის ვიწროდ სპეციალიზებული საკითხი, საბჭოს წევრი დაეთანხმა ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ აღნიშნული რეკომენდაცია გაცემულია პროგრამის გაუმჯობესების მიზნით.
ასევე დაინტერესდა, დაწესებულებას პროგრამაში აქვს Minor თუ კონცენტრაცია? ყურადღება გაამახვილა შეფასების სისტემასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მათ მიერ ყველა საგანი ერთნაირად ფასდება, რაც ორგანიზების კუთხით მარტივია, მაგრამ ხომ არ იკარგება საგნების სწავლების სპეციფიკა სტანდარტიზებული მიდგომით?
საბჭოს წევრი, ეკატერინე ნაცვლიშვილი მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებს და ექსპერტებს. მან განმარტა, რომ მისი კითხვა ეხება რამდენიმე სილაბუსს, მათ შორის ერთ-ერთი

არის კურსის „ადამიანური რესურსების მართვის“ სილაბუსი, რომლის შინაარსიდან გამომდინარე არ ჩანს რომ მიიღწევა ერთ-ერთი სწავლის შედეგი, კერძოდ ლიდერობის სხვადსხვა ხედვის და გააზრების და ბიზნეს გარემოში მათი პრაქტიკული გამოყენების უნარი. სილაბუსის შინაარსიდან გამომდინარე აღნიშნული სწავლის შედეგის მიღწევა არ დასტურდება, გარდა ამისა, მოცემულ სილაბუსთან დაკავშირებით განაცხადა, რომ სილაბუსის თემები უცნაურად არის შერჩეული, ერთ-ერთი თემა არის „ადამიანური რესურსების სტრატეგიული მართვა“, შესაძლოა საგნის ხელმძღვანელმა ზედაპირულად განიხილოს აღნიშნული თემა, მაგრამ თვითონ ამ თემის სწავლება აუცილებლად მოითხოვს ბიზნეს სტრატეგიების ცოდნას, რაც საგნის წინა თემებში არ არის გამოკვეთილი.

საბჭოს წევრის განმარტებით მენეჯმენტის საფუძვლების სასწავლო კურსი საინტერესოდაა აგებული, თუმცა ორგანიზაციისა და მენეჯმენტის არსის საკითხებს (შესავალ საკითხებს) საკმაოდ დიდ ყურადღება ეთმობა, შეტანილია მარკეტინგის მენეჯმენტის თემაც, ლიდერობასა და გუნდის მართვის საკითხები კი შედარებით მწირადაა წარმოჩენილი, არადა ორგანიზაციული ქცევა არჩევითი სასწავლო კურსია მენეჯმენტის კონცენტრაციაში. თუ სტუდენტი სხვა კონცენტრაციას აირჩევს - რამდენად სრულყოფილად გავა პროგრამის სწავლის შედეგზე?

ასევე, აღნიშნა, რომ სილაბუსებში ძირითად ლიტერატურად მითითებულია მოძველებული სახელმძღვანელოები.

საბჭოს თავმჯომარე, ნათია ზედგინიძე დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ 4.3 ქვესტანდარტთან მიმართებით გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით, სადაც გაწერილია, რომ სასურველია სტუდენტებისთვის კიდევ უფრო მეტი ელექტრონული წიგნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უსდ-ს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში; ასევე დაინტერესდა 5.1 ქვესტანდარტის მიმართ გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით, სადაც საუბარია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დახვეწა, პერსონალის ქულობრივ სისტემაზე გადასვლა და არადამაკმაყოფილებელი მუშაობის შემთხვევაში ქმედითი რეაგირების მექანიზმების შემოღება/განსაზღვრა. ექსპერტებს მიმართა კითხვით თუ როგორ შეაფასებდნენ არსებულ ვითარებას, უფრო ვრცლად რომ განეხილათ მათ მიერ გაცემული რჩევები.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ვასილ კიკუტაძემ ელექტრონული წიგნების საკითხთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ წიგნების სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია, თუმცა რიგ შემთხვევებში იყო გარკვეული წუხილი სტუდენტებისგან, რომ წიგნების უფრო მეტი რაოდენობა ყოფილიყო გაციფრებული, მეორე მხრივ აღნიშნა ისიც, რომ არ შეიძლება ყველა წიგნის სრულად გაციფრულება და სწორედ ამიტომ იყო ეს რჩევა და არა რეკომენდაცია.

მეექვსე რჩევასთან დაკავშირებით „სასურველია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დახვეწა, კერძოდ მონაცემთა დამუშავების გამარტივების მიზნით შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი სახით გამოხატვა და აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის სამუშაოს შესრულების არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში ქმედითი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა“, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ შეფასები მექანიზმები არის გაწერილი, თუმცა ლექტორებთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფმა ვერ გამოკვეთა ის პროცესი, რომ არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში, რა რეაგირება მოჰყვება ამ საკითხს. დაწესებულებაში ხორციელდება ლექტორთა შეფასება და ისინი სემესტრის ბოლოს იღებენ შეფასების შედეგად მიღებულ უკუკავშირს.

შეფასების სისტემის ერთგვაროვანებასთან დაკავშირებით, ექსპერტმა განმარტა, რომ შეფასების კომპონენტების უმრავლეს შემთხვევაში ფიგურირებს წერითი ნაშრომი, რომელიც თავისი შინაარსით შესაბამისობაშია საგნებთან მიმართებით. უკეთესი იქნებოდა განსხვავებული შეფასების სისტემის არსებობა, თუმცა აღნიშნული საკითხს ექსპერტთა ჯგუფი შეუსაბამოდ არ მიიჩნევს და არ თვლის რომ მოცემული მიდგომით სწავლის შედეგების მიღწევას საფრთხე ემუქრება.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე სილაბუსებთან დაკავშირებით დაეთანხმა საბჭოს წევრ, ეკატერინე ნაცვლიშვილს და განმარტა, რომ რადგან წარმოდგენილი იყო საბაკალავრო პროგრამა და სწავლება ძირითადად საფუძვლების დონეზე ხორციელდებოდა, წარმოდგენილი იყო დისციპლინები და მათში ჩაშლილი თემატიკებით ხდებოდა სხვადასხვა საკითხების გადაფარვა, აქედან გამომდინარე აღნიშნულ საკითხთან მიმართებით მათ შენიშვნა არ ჰქონიათ.
სასწავლო სილაბუსების მითითებული ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი ეთანხმება საბჭოს წევრებს და ლიტერატურა ყოველთვის საჭიროებს განახლებას.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ შეფასების სისტემასთან დაკავშირებით განმარტა, რომ მათ აქვთ ერთიანი, ზოგადი შეფასების სისტემის სტრუქტურა, შეფასებებში პროფესორები დამოუკიდებლები არიან, შეფასებების აღრიცხვა ხდება ელექტრონულად, მარეგულირებელი წესის მიხედვით შეფასება განაწილებულია 60/40, თუმცა ყველა პროფესორი თავიანთი კომპეტენციის გარგლებში განსაზღვრავენ თუ როგორ განახორციელებენ შეფასებას.
ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით ისინი იზიარებენ როგორც ექსპერტების, ასევე საბჭოს წევრების რჩევებს.
კურიკულუმის საკითხთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ამ მიმართულებით მუშაობა არ დაუსრულებიათ, დაგეგმილი აქვთ შეხვედრები, კურიკულუმის კვლევა, რაც მათთვის ნათელს გახდის თუ რა საკითხები იქნება გამოსასწორებელი.
საბჭოს წევრმა, გიორგი ღაღანიძემ დაწესებულებას სთხოვა წარმოედგინათ მათი პოზიცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ განაცხადა, რომ მათ დაგეგმილი აქვთ კურიკულუმის ანალიზი და ეთანხმებიან ექსპერტების მიერ გაცემულ რეკომენდაციას. ბიუჯეტთან დაკავშირებით მან აღნიშნა, რომ როგორც სახელმწიფო ორგანიზაციისთვის ბიუჯეტირება არ არის მარტივი საკითხი. ხარჯები, რომლები ეხება მივლინებებს, პროფესიულ განვითარებას და ა.შ. ეს ყველაფერი მოცემულია ძირითად ბიუჯეტში, ხოლო მათ მიერ წარმოდგენილია ის მინიმუმი, რაც მათ მიერ პროგრამის მხარდაჭერისთვის არის გამოყოფილი.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ბიუჯეტთან დაკავშირებით განმარტა, რომ შემუშავებული აქვთ წესი ბიუჯეტის შედგენის შესახებ, რომელიც დამტკიცებულია წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ. აღნიშნული წესის მიხედვით განსაზღვრულია ფორმები, ფაკულტეტს მიეწოდება ფორმა, სადაც შრომის ანაზღაურება პუნქტობრივად არ არის განსაზღვრული, რადგან საშტატო განრიგით დაგეგმილი შრომის ანაზღაურება გაწერილი აქვს კონსოლიდირებულ ბიუჯეტში. მისი განმარტებით ცენტრალურ ბიუჯეტში გათვალისწინებული აქვთ, როგორც მივლინების, ასევე კადრების გადამზადებისთვის საჭირო თანხები.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, რომეო გალდავამ შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით განმარტა, რომ დაწესებულებას ვერ ექნება პრეტენზია დიდი მასშტაბით შრომის ბაზრის კვლევაზე. მათ აქვთ მხოლოდ შეგროვებული ინფორმაცია, რომელიც მოიძიეს პროგრამასთან მიმართებით და მასში გათვალისწინებულია დამსაქმებლების გარკვეული მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, სილაბუსებთან დაკავშირებით გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ ერთ-ერთი სილაბუსში 4 საათი ეთმობა მენეჯმენტს და ორგანიზაციას, თუმცა არ არის დაკონკრეტებული ქვესაკითხები. რაც შეეხება „ლიდერობის და გუნდის მართვის საკითხებს“ დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით აღნიშნული საკითხები განხილულია სამუშაო ჯგუფების ორგანიზაციაში. ორგანიზაციის მართვის დონეებში კი განხილულია მართვის სხვადასხვა დონე, ასევე განმარტა, რომ სხვადასხვა მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა ხდება კურსის ფარგლებში.

საბჭოს წევრმა, ეკატერინე ნაცვლიშვილმა განმარტა რომ მენეჯმენტის სწავლის შედეგში მკაფიოდ არ არის გამოკვეთილი ლიდერობის ხედვის გამოყენება.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება

დაწყების დრო: 16:50
დასრულების დრო: 17:12

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება.

აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა მიერ გაცემული რეკომენდაციები და ჩამოაყალიბა შემდეგი რჩევები და რეკომენდაციები:

რეკომენდაციები:
ა) რეკომენდებულია დაკორექტირდეს პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგების და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა, კერძოდ როგორც ცნობილია პროგრამის ცალკეული სწავლის შედეგი უნდა ვითარდებოდეს სამივე დონეზე (გაცნობა, გაღრმავება, განმტკიცება), რაც მოცემული რუკით ბუნდოვანია. შესაბამისად, აღნიშნული პრინციპის დაცვით უნდა დაკორექტირდეს პროგრამის სწავლის ზოგიერთი შედეგის განვითარების დონეები;
ბ) რეკომენდირებულია, პროგრამის სწავლის შედეგების დაზუსტება, თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების გათვალისწინებით.
გ) რეკომენდებულია სასწავლო კურსის ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები წინაპირობად განისაზღვროს ფინანსური აღრიცხვა, ნაცვლად ბუღალტრული აღრიცხვისა, ასევე საჭიროა ბიზნესის ადმინისტრირების დამატებითი (Minor) პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის (მარკეტინგის საფუძვლები, ფინანსური მენეჯმენტის საფუძვლები) წინაპირობების დაკორექტირება ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად (Mijor) პროგრამაში ამ კურსებზე მითითებული წინაპირობების გათვალისწინებით;
დ) რეკომენდირებულია, სასწავლო კურსებში „საგადასახდო საქმე“, „ინფორმაციული ტექნოლოგიები ბიზნესში“, „ადამიანური რესურსების მართვა“ მოხდეს სავალდებულო ლიტერატურის/ების განახლება.
ე) რეკომენდებულია სასწავლო კურსში ბუღალტრული აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამები გარდა ორის ბუღალტერიისა შეთავაზებული იქნეს მეორე მოთხოვნადი ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამაც;
ვ) რეკომენდებულია დაკონკრეტდეს რა მეთოდებით, რომელ სასწავლო კურსებში მოხდება ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება.

რჩევები:
ა) სასურველია პროგრამის სწავლის შედეგების რაოდენობის კორექტირება შემცირების კუთხით, თუნდაც ცალკეული კონცენტრაციები სწავლის შედეგების რაოდენობის შემცირების ხარჯზე. მაგალითად, ვინაიდან კონცენტრაციის სასწავლო კურსები ხელს უწყობს კონკრეტული სწავლის შედეგების გაღრმავებას უნარების ნაწილში, შესაძლებელია ცალკეული კონცენტრაციის სწავლის შედეგის გამსხვილება/დაყვანა ერთ შედეგამდე, რაც ჯამში შეამცირებს პროგრამის სწავლის შედეგებს და მიუახლოებს სასურველ/ოპტიმალურ რაოდენობას (10-მდე სწავლის შედეგი);

ბ) სასურველია სასწავლო კურსში ,,სამეწარმეო სამართალი“ სავალდებულო ლიტერატურად გამოყენებული იქნეს იგივე ავტორის რაც სილაბუსში არის მითითებული უახლესი 2019 წლის გამოცემა;
გ) სასურველია გააქტიურდეს სტუდენტების ინტერნაციონალიზაციის მექანიზმები, მოხდეს სტუდენტებისათვის მეტი ინფორმაციის მიწოდება საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების დადებითი მხარეების, უპირატესობების შესახებ, რაც ხელს შეუწყობს არსებული შესაძლებლობების უკეთ გამოყენებას და გაზრდის პროცესში პროგრამის სტუდენტების ჩართულობის მაჩვენებლებს;
დ) სასურველია უსდ-მ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის შესაბამისად გააძლიეროს თანამშრომლობა უცხოურ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ინტერნაციონალიზაციის პროცესების გამრავალფეროვნებას და გაღრმავებას;
ე) სასურველია სტუდენტებისთვის კიდევ უფრო მეტი ელექტრონული წიგნის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა უსდ-ს ელექტრონულ ბიბლიოთეკაში;
ვ) სასურველია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასების სისტემის დახვეწა, კერძოდ მონაცემთა დამუშავების გამარტივების მიზნით შეფასების კრიტერიუმების ქულობრივი სახით გამოხატვა და აკადემიური-სამეცნიერო პერსონალის სამუშაოს შესრულების არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში ქმედითი რეაგირების მექანიზმების განსაზღვრა;
ზ) სასურველია დაკონკრეტდეს რა მეთოდებით მოხდება ავტონომიურობასთან და პასუხისმგებლობასთან დაკავშირებული პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევა და შეფასება;
თ) სასურველია გარე დამოუკიდებელი ექსპერტის შერჩევის და პროგრამის გარე შეფასების პროცედურების, შეფასების უნიფიცირებული ფორმების და კრიტერიუმების წინასწარი გაწერა;
ი) სასურველია დაინტერესებული მხარეების გამოკითხვის პროცესში გაიზარდოს მონაწილეთა, განსაკუთრებით კი დამსაქმებელთა, რაოდენობა, თვისობრივ ანალიზთან ერთად წარმოდგენილ იქნას დაინტერესებული მხარეების მოსაზრებების/შეფასებების რაოდენობრივი მონაცემები, დაზუსტდეს მონაცემთა მოპოვების მეთოდოლოგია (სიხშირე, ინსტრუმენტი), მონაცემთა ანალიზის პროცედურები და შემუშავდეს გამოვლენილი ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად სამოქმედო გეგმა;
კ) აღნიშნული პროგრამის კურიკულუმის ევროპული თუ ამერიკული უნივერსიტეტების პროგრამებთან შედარებისათვის, სასურველია, დადგინდეს უცხოური უნივერსიტეტების ნუსხის შერჩევის კრიტერიუმები.
ლ) სასწავლო კურსის „ეკონომიკური ფსიქოლოგია“ - შინაარსი გადაიხედოს და განახლდეს თანამედროვე ტენდენციების შესაბამისად.
მ) სასურველია, მოხდეს პროგრამის დეტალური ბიუჯეტის შემუშავება.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი, 6 თვეში ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-3^1 პუნქტის, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-3 პუნქტის, 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხ ლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“

ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით, ექვს თვეში თავზე ანგარიშის წარმოდგენის პირობით.

3. მესამე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასოფლო- სამეურნეო ჰიდრომელიორაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

№	**ინფორმაციასაგანმანათლებლოპროგრამისშესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაცია
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტებული
4	სტატუსის გათვალისწინებით, საბჭო(ებ)ს გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი	28.09.2012 გადაწყვეტილება №482
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მაგისტრატურა
7	დაშვების წინაპირობები	-
8	კვალიფიკაციის დონე	
9	კვალიფიკაციის დასახელება	სასოფლო-სამეურნეო ჰიდრომელიორაციის მაგისტრი
10	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-
11	დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)	0811 მემცენარეობა და მეცხოველეობა
12	კვალიფიკაციის კოდი	-
13	სწავლების ენა	ქართული
14	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
15	განხორციელების ადგილი	გ.გურამიშვილის გამზ. #17, თბილისი, მე-11 კორპუსი. 0192 საქართველო
16	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

მესამე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ქეთევან კინწურაშვილი მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. მან განმარტა, რომ აკრედიტაციის ვიზიტი განხორციელდა ჰიბრიდული ფორმატით 2021 წლის 18-19 მარტს, 18 მარტს განხორციელდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება, ხოლო 19 მარტს დისტანციურად გაგრძელდა აღნიშნული პროგრამის შეფასება. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა განსაკუთრებული კმაყოფილება პროგრამის მიმართ და განმარტა, რომ პროგრამა კარგად არის დამუშავებული, ორიენტირებულია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებზე. პროგრამა უზრუნველყოფილია კვალიფიციური აკადემიური პერსონალით და პროგრამა შედგენილია დაწესებული სტანდარტების შესაბამისად.
აღნიშნული პროგრამა აკრედიტებული იყო 2012 წელს და ამჟამად ხორციელდებოდა მისი რეაკრედიტაცია. პროგრამაში განხორციელებული იყო საკმაოდ ბევრი ცვლილებები და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ პროგრამა დიამეტრალურად იყო შეცვლილი. პროგრამის ფარგლებში შეიცვალა მისანიჭებელი კვალიფიკაცია, დაემატა რიგი სასწავლო კურსები, როგორც არჩევით, ასევე ძირითად დისციპლინებში, დაკორექტირდა დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგების მიღწევის ფორმები, რაც საბოლოო ჯამში კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს. პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს და იგი ხორციელდება 4 სასწავლო სემესტრის (2 წლის) განმავლობაში. პროგრამის სტრუქტურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ 30 კრედიტი ეთმობა კვლებით კომპონენტს, ხოლო დანარჩენი 90 კრედიტი გადანაწილებულია ძირითად და არჩევით სასწავლო კურსებზე.
აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ მასალებს, არსებულ კითხვებთან დაკავშირებით საუბარი ჰქონდათ დაინტერესებულ მხარეებთან, საბოლოოდ კი მათი რჩევები და რეკომენდაციები წარმოადგინეს დასკვნის სახით.
აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისობასთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ პროგრამა ხუთივე სტანდარტთან მიმართებით შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა მეოთხე სტანდარტის 4.3 კომპონენტთან მიმართებით, რომელიც ეხება მატერიალურ რესურსებს, ექსპერტთა ჯგუფმა გასცა რეკომენდაცია და შესაბამისად აღნიშნული კომპონენტი შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“.

გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული რეკომენდაციის თავდაპირველი ფორმულირება შეიცვალა მას შემდეგ, რაც დაწესებულებისგან მიიღეს არგუმენტირებული პოზიცია, თუმცა შეფასების ცვლილება არ განხორციელებულა. ექსპერტთა ჯგუფმა საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას გაითვალისწინა დაწესებულებაში იმ მოწყობილობის არსებობა რასაც ჰქვია დაწვიმებითი სისტემების და წვეთოვან სარწყავ სისტემები, რომელიც მთავარი დანადგარია აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად და ასევე აღსანიშნავია, ისიც რომ მის განსათავსებელად საკმაოდ დიდი ფართი არის საჭირო, სწორედ აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით იყო პასუხები ჩამოყალიბებული დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციაში, რის საფუძველზეც ექსპერტთა ჯგუფმა ფორმულირება შეუცვალა მათ მიერ გაცემულ რეკომენდაციას.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ასევე, აღნიშნა რომ დაწესებულება თანამშრომლობს ათასეულის კვლევით ინტიტუტთან, თუმცა აღნიშნულთან დაკავშირებით მათ ჩანაწერი ვერ ნახეს, აქედან გამომდინარე მათ გასცეს რეკომენდაცია ბაზებისა და ობიექტების შესახებ, სადაც სტუდენტებს ექნებათ საშუალება განახორციელონ ექსპერიმენტული სამუშაოები პრაქტიკული უნარების გამომუშავებისთვის და შესაბამისად საჭიროა აღნიშნული მიმართულებით სტუდენტების ინფორმირებულობა და დანადგარზე ხელმისაწვდომობა.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მათ მიერ გაცემული იყო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის და ყურადღება გაამახვილა ფაკულტეტის ადმინისტრაციის საქმიანობაზე, რომელიც მიმართული პროგრამის გაუმჯობესებისკენ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, დავით მახვილაძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დამსწრე პირებს. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე ფუნქციონირებს „ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტისა“ და „ათასეულის კვლევითი ინსტიტუტი“, სადაც სტუდენტებს საშუალება აქვთ განახორციელონ პრაქტიკული სამუშაოები და აღნიშნული ბაზები უზრუნველყოფს მორწყვის თანამედროვე სისტემების დაპროექტებას ,კვლევითი საქმიანობის მიზნით. სტუდენტების რაოდენობის გაზრდის და საჭიროების შემთხვევაში, დამატებითი ბაზების უზრუნველყოფა და მემორანდუმების გაფორმება დაწესებულებისთვის პრობლემას არ წარმოადგენს.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა ასევე აღნიშნა, რომ აღნიშნული ფაკულტეტი ნადვილად გამორჩეულია ტექნიკური უნივერსიტეტისთვის და დაწესებულება სრულიად იზიარებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ შეფასებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. მან განაცხადა, რომ დაწესებულების მიერ ჩატარებულ შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში გამოკითხული იყო 7 ადამიანი და დაინტერესდა თუ რამდენად რელევანტურია აღნიშნული რაოდენობა კვლევის ჩასატარებლად, მითუმეტეს როდესაც საქმე გვაქვს სპეციფიურ პროგრამასთან. საბჭოს წევრი ასევე დაინტერესდა ბიუჯეტთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ დაწესებულებას აქვს სტანდარტიზებული ბიუჯეტი, ფაკულტეტი ფინანსურად მდგრადია, მაგრამ კონკრეტულად პროგრამასთან მიმართებით როგორ ნაწილდება ბიუჯეტი, რა რაოდენობის ხარჯია ან შემოსავალი წარმოდგენილი დოკუმენტებიდან არ იკვეთება.
საბჭოს წევრი, გაიოზ ფარცხალაძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. საბჭოს წევრმა კითხვა დასვა ექსპერტთა ჯგუფის მიმართ, იგი დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, შესრულებული იყო თუ არა თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით, აქვს თუ არა ბაზარზე მოთხოვნადი პროექტის სახე. მეორე კითხვა დასვა დაწესებულების მიმართ, წვეთოვან სარწყავ სისტემების ლაბორატორიასთან დაკავშირებით, ეს იყო ცალკე ლაბორატორია?

საბჭოს წევრი, ანზორ ბერიძე მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. საბჭოს წევრი დაინტერესდა სამაგისტრო ნაშრომებში გამოყენებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით თუ როგორია ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან კინწურაშვილმა საბჭოს წევრის მიერ დასმულ შეკითხვასთან დაკავშირებით განმარტა, რომ ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი იყო თითქმის ყველა სამაგისტრო ნაშრომი, მათი თემატიკა იყო მრავალფეროვანი, დამუშავებული იყო საკმაოდ აქტუალური საკითხები. ექსპერტებს ჰქონდათ კითხვები ნაშრომის ხელმძღვანელებთან და მაგისტრანტებთან ნამუშევრებთან დაკავშირებით, რომ ისეთი აქტუალური საკითხები, რომლებზეც ფაქტიურად გაკეთებული აქვთ გაანგარიშებები და გამოთვლილია ყველა მიგნება, თუ ეცადნენ რომ მომხდარიყო ამ შრომის დანერგვა და აღნიშნულ სამუშაოებს ჰქონოდა პრაქტიკული გამოყენება, რადგან ნაშრომებში საკმაოდ კარგად იყო წარმოდგენილი კვლევითი ნაწილი. რაც შეეხება პრაქტიკულ კომპონენტს, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ძირითადი დაწესებულება, რომელზეც დაყრდნობილია ინსტიტუცია ეს არის სამელიორაციო კვლევითი ინსტიტუტი, რომლებიც შეიძლება ითქვას, რომ არიან პროგრამის განმახორციელებლები კვლევების ნაწილში.
სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ კარგად იყო შესრულებული, გაფორმების კუთხით შიდა საუნივერსიტეტო რეგულაციების შესაბამისად, გამოყენებულ ლიტერატურასთან დაკავშირებით არის გარკვეული სახის გასაუმჯობესებელი მხარეები, მაგრამ საერთო ჯამში სამაგისტრო ნაშრომები აკმაყოფილებდა სტანდარტის მოთხოვნებს.
ექსპერტების მოსაზრებით უკეთესი იქნებოდა თუ მემორანდუმებს გააფორმებდნენ კერძო ორგანიზაციებთან, რომლებსაც აქვთ შესაბამისი, უფრო თანამედროვე მატერიალური რესურსი, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელისგან და განმახორციელებელი პერსონალისგან მიიღეს არგუმენტირებული პასუხი, რომ ჯერ-ჯერობით აქცენტი აქვთ გადატანილი იმ სისტემებზე, რომლებიც უფრო აპრობირებულია ამ მომენტისთვის საქართველოში და რაზეც დაწესებულებას ხელი მიუწვდება. სხვა სახის სისტემების გამოყენებისგან ჯერ-ჯერობით თავს იკავებენ, რადგან თვლიან რომ შესაძლებელია იყოს კომპეტენციის პრობლემა დადგეს, მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ამ მიმართულებით ახორციელებენ მუშაობას. შესაბამისად, საბჭოს წევრის კითხვა ლაბორატორიასთან დაკავშირებით, დაწესებულებაში თვალსაჩინოების და მაკეტების დონეზე ლაბორატორია არის მოწყობილი. პროგრამის განხორციელებაში ჩართული პირების, მათ შორის დამსაქმებლების დამოკიდებულება საკითხისადმი ხელს უწყობს პროგრამის განხორციელებას.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამარ სანიკიძემ დამსაქმებლებთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ბაზარზე არსებული დამსაქმებლების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მელიორაციის დეპარტამენტი, რომელიც არის გარემოს დაცვისა და სოფლის მეუორნეობის საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელთაც არ ჰყოფნით კადრები აღნიშნული მიმართულებით კურსდამთავრებულები. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაიცა რეკომენდაცია, სადაც აღნიშნულია რომ კერძო სექტორის ინტერესებიც უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგრამ სტაბილურ და მეტნაკლებად ანაზღაურებად სამსახურს ამ მიმართულების კადრების სახელმწიფო სთავაზობს, თუმცა ჯერ-ჯერობით იმ სამსახურებშიც კადრების დეფიციტია. აქედან გამომდინარე, დამსაქმებლის საჭიროება იყო ნათლად იყო იდენტიფიცირებული წარმოდგენილ დოკუმენტაციაში.
ლიტერატურასთან დაკავშირებით ექსპერტმა აღნიშნა, რომ ვიზიტის დროს მათ ნახეს ბიბლიოთეკა, სადაც საკმაოდ დიდი რაოდენობით წიგნადი ფონდია წარმოდგენილი აღნიშნულ მიმართულებასთან დაკავშირებით და მათ შორის შექმნილია ახალი, თანამედროვე ლიტერატურა. წიგნები არის ქართულ ენაზე და არ არის მათი დეფიციტი.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, ქეთევან კინწურაშვილმა აღნიშნა, რომ თვითონ პროგრამის ხელმძღვანელს ბოლო პერიოდის განმავლობაში ორი, საკმაოდ ღირებული წიგნი აქვს გამოცემული დარგთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე დაინტერესდა აკრედიტაციის სტანდარტის 2.2 ქვესტანდარტთან მიმართები, სადაც ექსპერტთა ჯგუფს გაწერილი აქვს რჩევა, რომ კვლევითი კომპონენტებისთვის დამუშავებულ იქნას კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული თემები ანუ ის სამაგისტრო ნაშრომები, რომლებიც ნახა ექსპერტთა ჯგუფმა, შესაბამისი იყო თუ არა საფეხურის და კონკურენტული შრომის ბაზრის მოთხოვნების?
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის განმარტებით, მან როგორც უკვე აღნიშნა, შესაძლებელი იყო უფრო მაღალი საფეხურის, დოქტორანტურის თემატიკაც კი ყოფილიყო მაგისტრანტების მიერ შესრულებული ნამუშევრების თემატიკა, თუმცა ამის გამო არ შეიძლება ნაშრომის ნაკლად ჩაითვალოს, პირიქით ეს კიდევ უფრო კვეთს თემატიკის ღირებულებას. ნაშრომების ექსპერიმენტალურ ნაწილის როგორც არის შესრულებული ნამდვილად ეტყობა მაგისტრანტის ჩართულობა. ასევე აღნიშნა, რომ მაგისტრანტების მიერ დამუშავებულია ისეთი თემები, რომელთა პრაქტიკაში განხორციელება ნამდვილად კარგი იქნებოდა.
საბჭოს წევრი, მაკა კაჭარავა მიესალმა დაწესებულების წარმომადგენლებსა და ექსპერტებს. იგი დაინტერესდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემულ რჩევასთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, რომ დასკვნით გამოცდებში მინიმალური ზღვარი უფრო მკაფიოდ ჩანდეს. საბჭოს წევრი გაეცნო დარგობრივი საგნების სილაბუსებს, სადაც ნათლად არის ჩაწერილი რომ დასკვნითი გამოცდის მინიმალური ზღვარი 40 ქულიდან არის 21 ქულა.
აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ განმარტა, რომ საუბარი იყო დასკვნითი გამოცდის დაშვების წინაპირობად არსებულ მინიმალურ ზღვარზე.
საბჭოს წევრის, მაკა კაჭარავას განმარტებით სილაბუსებში ნათლად იყო მითითებული როგორც დაშვების წინაპირობის მინიმალური ზღვარი, ასევე გამოცდაზე მიღების მინიმალური ზღვარიც.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ შრომის ბაზართან დაკავშირებით განმარტა, რომ გარდა სახელმწიფოს სსიპ-ს, კერძო სექტორიდანაც აქტიურად არიან ჩართულები, როგორც ბიზნესი და ასევე ცალკე, როგორც დამსაქმებელი ბიზნესის სუბიექტები. გარდა ამისა ჩართულნი არიან ფერმერები, როგორც მომხმარებლები. მისი განმარტებით, დღესაც კი არის ისეთი შემთხვევი, როდესაც ათეულობით ჰექტარ ვენახებს ქართველი სპეციალისტები აკეთებენ, აპროექტებენ, ამონტაჟებენ, რასაც სერვის კომპანიები უპრობლემოდ ახორციელებენ, მაგრამ როდესაც საკითხი დგება განსაკუთრებული პრობლემის ბაღზე, მაგალითად ჰქონდათ შემთხვევა, როდესაც ნახეს უცხოელის მიერ გაშენებული კაკლის ბაღი აღაიანში, რომელიც იყო დახრილ ფერდობზე და დიდი რაოდენობით წყალი ესაჭიროებოდა, ამ შემთხვევაში საჭირო გახდა სპეციალისტის მოყვანა ამერიკული კომპანიიდან, რომელსაც ექსპერტიზა უნდა განეხორციელებინა.
დაწესებულება თანამშრომლობს კერძო სექტორთანაც, მაქსიმალურად ცდილობენ რომ მიიღონ ინფორმაცია ეს იქნება პრაქტიკული კომპონენტის ჭრილში, თუ აზრის მოძიების კუთხით. აქედან გამომდინარე, დაწესებულება ფლობს საკმაოდ დეტალურ ინფორმაციას და მისი განმარტებით შრომის ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით, მხოლოდ ფორმალური მხარეა დარღვეული, ის რომ დოკუმენტურად შესაბამისად ვერ იქნა წარმოდგენილი შრომის ბაზრის კვლევა.
წარმოდგენილი ბიუჯეტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა, დავით მახვილაძემ განმარტა, რომ დაწესებულებას არ აქვს პრობლემა ფინანსურ მდგრადობასთან დაკავშირებით, არის სრული ფინანსური უზრუნველყოფა. რაც შეეხება იმას, რომ ბიუჯეტში წყაროები არ არის მითითებული და დეტალურად არ არის გაწერილი, ეს ყველაფერი დაწესებულებას უკვე შემუშავებული და გამოსწორებული აქვს, თუმცა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ფორმის დაცვით არ იყო წარმოდგენილი.
ასევე აღნიშნა, რომ ფაკულტეტს აქვს თანამედროვე ლაბორატორიული აღჭურვილობა, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ საჭიროება მოითხოვს დამატებით აღჭურვილობას, აღნიშნულ საკითხთან

დაკავშირებით ფაკულტეტის საბჭო იღებს დადებით გადაწყვეტილებას და თვითონ ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ხდება სახსრების გამოყოფა. მისი განმარტებით პროგრამის განხორციელებაში ჩართულნი არიან მაღალი დონის მეცნიერები.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 17:48
დასრულების დრო: 18:06

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ 1.2 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია პირველი სტანდარტის შეფასების ცვლილება. ასევე, 2.4 კომპონენტი, ნაცვლად „შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“ შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან“, აღნიშნული კომპონენტის ცვლილებამ არ გამოიწვია მეორე სტანდარტის შეფასების ცვლილება.

საბოლოოდ დაწესებულებას განესაზღვრა შემდეგი რჩევები დარეკომენდაციები:
რეკომენდაციები:
ა) დაწვიმებითი სისტემების და წვეთოვან სარწყავ სისტემებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის და პროგრამის მიზნის განხორციელებისთვის შეიქმნას ე.წ. მონაცემთა ბაზა კვლევებისთვის გამოსაყენებელ ტექნიკურ ბაზებთან დაკავშირებით და გაფორმდეს ხელშეკრულებები შესაბამის ორგანიზაციებთან.
ბ) სასურველია სწავლის შედეგების შემდგომი ოპტიმიზაციისთვის, უფრო მეტად იქნენ გამოკითხული კერძო სტრუქტურების დამსაქმებლები და მეტად იყოს გათვალისწინებული მათი ინტერესები.
გ) სამაგისტრო ნაშრომების შესრულებისას გამოყენებული იქნას თანამედროვე, უცხოენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა
რჩევები:
ა) სასურველია თანამედროვე ირიგაციული სისტემების სწავლებისას უფრო მეტად იყოს წარმოდგენილი წვეთოვანი სისტემის შესწავლასთან დაკავშირებული საკითხები;
ბ) პროგრამის პოპულარიზაციისა და მისაღები კონტიგენტის მოზიდვის მიზნით სასურველია კვლევითი კომპონენტებისთვის დამუშავებული იქნას კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტაზე ორიენტირებული თემები, რომლებიც ინიცირებული იქნება დამსაქმებლისგან.
გ) აკადემიური პერსონალის გამოკითხვის შედეგებში სასურველია უფრო მეტად იყოს გამოკვეთილი ინდივიდუალური მოსაზრებები/შენიშვნები და წახალისებული იყოს ის მიდგომა, რომ ყველა ერთხმად არ ეთანხმებოდეს იმას, რასაც გაეცნო პროგრამის შესახებ.
დ) სასურველია სტუდენტები უფრო მეტად იყვნენ წარმოდგენილი საგრანტო პროექტებში და მათი საკვლევი თემატიკები ფინასური თვალსაზრისითაც იყოს მხარდაჭერილი.
ე) სასურველია სტუდენტთა უფრო მეტი ინფორმირებულობა სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო პროექტების შესახებ;
ვ) კერძო კომპანიებთან თანამშრომლობის გაძლიერება, სტუდენტთა კერძო სექტორში დასაქმების მიზნით.
ზ) საერთაშორისო მობილობით სარგებლობის პოპულარიზება სტუდენტებში.
თ) სასურველია ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებსა და პროექტებში მაგისტრანტების ჩართულობის წახალისება
ი) უფრო მეტი ჩართულობა და მხარდაჭერა კვლევებში, სამაგისტრო ნაშრომებით გამოკვლეული შედეგების პრაქტიკაში დანერგვისთვის მზაობა და შესაბამისი სტრუქტურების ამ კუთხით მოტივაციის ამაღლება.

კ) სასურველია პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აქტივობებში სტუდენტების უფრო მეტი ჩართულობის მექანიზმების შემუშავება მათგან უკუკავშირის მიღების მიზნით
ლ) პროგრამის გარე შეფასებისას სასურველია ჩართული იყოს დარგის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "სასოფლო- სამეურნეო ჰიდრომელიორაციის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისათვის 7 წლის ვადით აკრედიტაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი და მე-3^1 პუნქტ ების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 3^1 პუნქტის, აკრედიტაციის დებულების 27^2 მუხლის პირველი პუნქტის, 27^5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-5 პუნქტის, 27^6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 33-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის N223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის „სასოფლო- სამეურნეო ჰიდრომელიორაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია 7 წლის ვადით.

4.მეოთხე საკითხი: სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის განხილვა.

№	**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**	
1	საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობა
2	ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა	-
3	სტატუსი	აკრედიტირებული
4	სტატუსის გათვალისწინებით აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თარიღი, ნომერი და ვადა	22.09.2020 #876118
5	ხელახალი აკრედიტაციის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის წინა დასახელება	-
6	უმაღლესი განათლების საფეხური	მეშვიდე
7	კვალიფიკაციის დასახელება	საზოგადოებასთან ურთიერთობის მაგისტრი
8	ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით	-

9	სწავლების ენა	ქართული
10	ECTS კრედიტების ჯამური რაოდენობა	120
11	განხორციელების ადგილი	საქართველო 0175 თბილისი, კოსტავას 77, კორპ 6
12	მსჯავრდებულ აბიტურიენტთა საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა-სწავლების უფლებამოსილება	-

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- დიახ

თვითაცილება განაცხადა ელიზბარ ელიზბარაშვილმა, ნინო იმნაძემ და დავით კაპანაძემ. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენს შრომითი ურთიერთობა დაწესებულებასთან.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს.
სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეოთხე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექპერტი ნატალია თვალჭრელიძე მიესალმა საბჭოს წევრებს და დაწესებულების წარმომადგენლებს. „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით წარმოდგენილ ანგარიშზე აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილი იყო ვადის დაცვით. გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია ამომწურავად არის მოცემული, ხოლო რჩევების შესრულება/არშესრულების შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, მაგრამ აღსანიშნავია ისიც რომ რჩევებს სავალდებულო ხასიათი არ აქვს. ექსპერტმა ასევე აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული იყო საკმაოდ კარგი რჩევები პროგრამის განვითარებისთვის და საინტერესო იქნებოდა დაწესებულების პოზიცია რამდენად ითვალისწინებს/არ ითვალისწინებს ექსპერტთა რჩევებს.
ექსპერტის განმარტებით, აკრედიტაციის პროცესში გაცემულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება ითქვას, რომ ყველა რეკომენდაციის მიმართ დამაკმაყოფილებელია. ექსპერტის განმარტებით ერთ-ერთი რეკომენდაცია, რომელიც ეხებოდა პროფესორ-მასწავლებლების უფრო მეტ ჩართულობას კვლევით პროექტებში, აღნიშნულთან დაკავშირებით შექმნილია ფაკულტეტთან არსებული კვლევითი პროექტი, რომელშიც მონაწილეობას იღებენ როგორც სტუდენტები ასევე, პროფესორები, რაც ძალიან საინტერესო და დადებითია. შეიძლება ითქვას, რომ კარგი ნაბიჯია გადადგმული რეკომენდაციის შესრულებისკენ. თუმცა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მომავლისთვის უფრო კარგი იქნება თუ პროფესორ-მასწავლებლები კვლევით პროექტებში უცხოურ უნივერსიტეტებთან ერთად ჩაერთვებიან. ეს ბუნებრივია პროცესია, რომელიც თან სდევს პროგრამას და რომელიც

შეიძლება ერთ თვეში ვერ განხორციელდეს, მაგრამ აღნიშნული მიმართულებით მუდმივი მუშაობა არის საჭირო.
ექსპერტმა აღნიშნა, რომ იგი გაეცნო ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილ სილაბუსებს და მასში მოცემულ ლიტერატურასთან დაკავშირებით განმარტა, რომ იგი მოითხოვს მუდმივ განახლებას და უკეთესი იქნება თუ სილაბუსებში მითითებული იქნება უფრო თანამედროვე ლიტერატურა, მით უფრო როდესაც დაწესებულების მოთხოვნაა უცხო ენის ცოდნა სამაგისტრო საფეხურზე და ამასთანავე რამდენიმე საგანი ისწავლება კიდეც უცხო ენაზე. აქედან გამომდინარე, კარგი იქნება თუ სავალდებულო ლიტერატურაში მითითებული იქნება თანამედროვე, უცხოენოვანი ლიტერატურა. ეს არის სპეციალობა, რომელიც ჯერ კიდევ ახალი მიმართულებაა და მიმდინარეობს ლიტერატურის მუდმივი განახლება, ქართულ ენაზე არსებული ლიტერატურა აღნიშნული მიმართულებით საკმაოდ მწირია, მაგრამ მუდმივი განახლებები მიმდინარეობს უცხოურ ლიტერატურაში და შესაბამისად, კარგი იქნება სილაბუსებში სავალდებულოდ თუ დაემატება უცხოური ლიტერატურაც. ექსპერტის განმარტებით ზემოაღნიშნული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია, თუმცა საჭიროებს უფრო მეტ მუშაობას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრი, გიორგი ღაღანიძე დაინტერესდა მეორე და მეოთხე რეკომენდაციებთან დაკავშირებით, ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია ცალსახად არ მიუთითებს, რომ რეკომენდაციები შესრულდა. ექსპერტს მიმართა საბჭოს წევრებისთვის დაედასტურებინა, რომ მეორე და მეოთხე რეკომენდაციები იყო შესრულებული. თუმცა ამავე დროს ექსპერტი აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით დაწესებულებამ უნდა გააგრძელოს მუშაობა და სთხოვა განემარტა აღნიშნული საკითხი.
ექსპერტის განმარტებით ანგარიშის განხილვის ფარგლებში იგი გაეცნო მხოლოდ რამდენიმე სილაბუსს, რომლებიც ანგარიშთან ერთად იყო წარმოდგენილი, როგორც დოკუმენტი ანგარიშის შესრულების. წარმოდგენილი სილაბუსები შეცვლილია, დამატებულია ქეისები, რომელსაც გულისხმობდა მეორე რეკომენდაცია და ეს ნამდვილად დამატებულია წარმოდგენილ სილაბუსების შეფასების ნაწილში. ლიტერატურასთან დაკავშირებით ექსპერტის განმარტებით უფრო მეტი სამუშაო არის შესასრულებელი.
საბჭოს თავმჯდომარე, ნათია ზედგინიძე დაინტერესდა ხუთივე რეკომენდაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესაბამისად შესრულდა თუ არა რეკომენდაციები. თქვენი განმარტებები ეს არის სამომავლოდ პროგრამის განვითრებისთვის რჩევები თუ მიუთითებს იმაზე, რომ რეკომენდაციები არ შესრულდა?
ექსპერტის განმარტებით რეკომენდაციები დიდწილად შესრულებულდა, თუმცა არის გარკვეული საკითხები, რომლებიც გაუმჯობესებას მოითხოვს.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ საკუთარი პოზიცია.
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, დავით მახვილაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტს შეფასების განხორციელებისთვის და ანგარიშთან მიმართებით განმარტა, რომ დაწესებულებამ ხუთივე რეკომენდაცია სრულად შეასრულა, შესაძლებლობების მაქსიმუმით. ლიტერატურასთან დაკავშირებით, სადაც საუბარი იყო უცხოურ ლიტერატურაზე, რომელიც უნდა დამატებოდა სავალდებულო ლიტერატურას და რაც დამატებით ლიტერატურაში საკმაოდ კარგად არის წარმოდგენილი, დაწესებულება აღნიშნული მიმართულებით აგრძელებს განვითარების პროცესს და მომავალშიც განახორციელებენ ცვლილებებს. მისი განმარტებით ამ მომენტში, რა რეკომენდაციებიც იყო გაცემული, სწორედ ამ რეკომენდაციის ფარგლებით განახორციელეს შესაბამისი სამუშაოები.

რჩევებთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დაწესებულებას არ ევალებოდა რჩევებთან მიმართებით წარმოედგინა პოზიცია, თუმცა პროგრამის გაუმჯობესებით მიზნით ინსტიტუცია ითვალისწინებს გაცემულ რჩევებს.
საბჭოს წევრი, თეონა მატარაძე მიესალმა დამსწრე პირებს და იგი დაინტერესდა ლიტერატურის დამატებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ როდესაც დაწესებულებას რეკომენდაციის ფარგლებში განესაზღვრა ლიტერატურის განახლება და ამ დროს დაემატა ის ლიტერატურა, რომელიც საფეხურს არ შეესაბამება რამდენად მიზანშეწონილია? ექპერტის დასკვნაში მითითებულია, რომ დამატებითი ლიტერატურა არ შეესაბამება საფეხურს, მაგალითად დამატებულია პიარი ან მარკეტინგი.
პროგრამის ხელმძღვანელის განმარტებით, აღნიშნული ლიტერატურა არ არის ახლა დამატებული ლიტერატურა, ვიზიტის დროს ექსპერტებს ამ მიმართულებით არ ჰქონიათ შენიშვნა. მოცემულ საგნებს უძღვებიან პრაქტიკოსი ლექტორები და დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ აღნიშნული საგნები კურსის რელევანტურია მაგისტრატურის საფეხურისთვის. ლიტერატურის მრავალფეროვნებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ეს არის მუდმივად განახლებადი პროცესი და დაწესებულება ამ საკითხთან მიმართებით ყოველწლიურად, ყოველ სემესტრულად მუშაობს.
საბჭოს წევრის, ანზორ ბერიძის განმარტებით დაწესებულება აღნიშნავს, რომ ლიტერატურა გასაახლებელია და ეს არის მუდმივი პროცესი, მათი განმარტებით დაამატეს დამატებითი ლიტერატურა და იგი დაინტერესდა აღნიშნული ლიტერატურა არის თუ არა დაწესებულების ბიბლიოთეკაში, მოხდა თუ არა მათი შეძენა და სტუდენტისთვის არის თუ არა ხელმისაწვდომი? დაწესებულება თუ თვლიდა, რომ საჭირო იყო ლიტერატურის დამატება რატომ არ დაამატეს ძირითად ლიტერატურაში და რატომ მოხდა მათი დამატება დამატებით ლიტერატურაში?
დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის, დავით მახვილაძის განმარტებით საუბარი იყო, რომ შესაძლებლობის მაქსიმუმის ფარგლებში, რაც მიიჩნიეს საჭიროდ სწორედ იმ ლიტერატურის დამატება განხორციელდა. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ხორციელდება შეხვედრები და მსჯელობა ამ მიმართულებით, თუ არის საჭირო ცვლილების განხორციელება და ეს მუდმივი პროცესია. ცენტრალურ სამსახურში ყოველ კვირეულად შემოდის ათობით სილაბუსთან მიმართებით ლიტერატურის განახლებასთან დაკავშირებული საკითხები. ანგარიშის ფარგლებში წარმოდგენილი სილაბუსების ლიტერატურასთან დაკავშირებით კი განმარტა, რომ ის ლიტერატურა რაც ექსპერტების მიერ არ იქნა დახარვეზებული მათ დატოვეს სილაბუსებში და დაამატეს რეკომენდაციის ფარგლებში გაცემული ლიტერატურა. დაწესებულების წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ სავალდებულო ლიტერატურაში მოცემული სახელმძღვანელოები ეს არის ის ძირითადი ლიტერატურა, რომლის საშუალებითაც სტუდენტები გადიან სწავლის შედეგებზე.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა სახელმძღვანელო და ასევე ელექტრონულადაც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 18:20
დასრულების დრო: 18:33

აკრედიტაციის საბჭოს მიერ საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება და კენჭისყრა:

- აკრედიტაციის საბჭომ სრულად გაიზიარა ექსპერტის დასკვნაში ასახული შეფასება.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27^{6} მუხლის მე - 2 პუნქტისა და 2^{11} პუნქტის საფუძველზე სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის "საზოგადოებასთან ურთიერთობის" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად.

საბჭოს სხდომა დასრულდა 18:39 საათზე.

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
თავმჯდომარე
ზედგინიძე-ჯიშკარიანი ნათია

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
შენგელია მარიამ